№ 145
ივლისის 5, შაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

1903
№ 145
ივლისის 5, შაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია პირველ ივლისიდან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 6 მანეთად.
გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

შაბათს, 5 ივლისს, ქ. ოზურგეთის საკრებულო ტაძარში, გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

**თ. კონსტანტინე ვახტანგის ძის ერისთავის**

სულის მოსახსენებლად. (1—უ—1)

უგულითადესს მადლობას ვწირავ ყველა იმ პირთ, ვინც პირადად, წერილობით, თუ ტელეგრამით მონაწილეობა მიიღეს ჩემს მწუხარებაში, საყვარელის მამის გარდაცვალების გამო.

თ. დიმიტრი კონსტ. ერისთავი.
1—უ—1)

რადგან კბილის ექიმი
ი. ა. ახალშენიშვილი
1 ივნისიდგან 10 აგვისტომდე სოფლად იქმნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქმნება.
(5—5).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. ზ. აზეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანახოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ჭ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

ხ ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.
გ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.
ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.
ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გათებსსაუკე ილში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

კერძო სამკურნალო
ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა
კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდან-კი № 34.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
მ. დ. ლამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.
მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და შაბათობით 11—12 ს.
ზრ. მ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)
46—8 ტელეფონი № 274

## ტფილისი, 5 ივლისი.

გუშინწინდელ „მშაკში“ ერთი ამბავია დაბეჭდილი, ვითომ ტირასპოლის ეპისკოპოსი ბარონ როპი დაჰპირებოდეს სომეხ კათოლიკეთ, „ცალკე მიტროსანი წინამძღვარი“ გეყოლებათ ტფილისში, რომელიც მოაწყობს თქვენ სასულიერო საქმეებს და ყოველივე უპირატესობა ექმნება ეპისკოპოსისა, გარდა მღვდლისა და მირვნის კურთხევისაო. სანუგეშო ამბავია სომეხ კათოლიკეთათვის, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ტირასპოლის ეპისკოპოსის ხელთ, სომეხ-კათოლიკეთა გარდა, კიდევ არიან სომხის წესისა და რომის ქართველი კათოლიკენი და კათოლიკე ქალდეველები, ანუ აისორები და ნუ თუ ესენიც იმ „მიტროსანი წინამძღვრის გამგეობაში უნდა დარჩენ ძ კვლავინდებურად უნდა ისმენდენ სომხურ წირვა-ლოცვას, რომელიც მათ ყურს არ ესმის და სულს არა რგებს. ვერ დავიჯერებთ, სომხის წესის კათოლიკე ქართველები ძველებურადვე დაუქვემდებარონ სომხის სასულიერო გამგეობას მას შემდეგ, რაც იმათში ასეთი გამოცხადებული უკმაყოფილებაა სომხური საეკლესიო გამგეობის წეს-რიგის წინააღმდეგ და ერთობილი საჩივარიც მიართვეს მის ყოვლად უსამღვდელოესობას ედუარდ ეპისკოპოსს ძ სთხოვეს, სომხის წესიდგან ლათინის წესზედ გადაგვიყვანეო. სამართლიანობა მოითხოვს, თუ სომხის წესის ქართველ კათოლიკეთა ლათინის წესზე გადაყვანა ვერ მოხერხდა, ტირასპოლის ეპისკოპოსის სამწყსო ამიერ კავკასიაში გაიყოს იმდენ ჯგუფად, რამდენიც ერია, ე. ი. ქართვლის, ქალდეველთა და სომხისად და თითო მათგანს დაენიშნოს საკუთარი კეთილ მოწესე წინამძღვარი, მისივე შთამომავლობისა და ექვემდებარებოდეს ტირასპოლის ეპისკოპოსს. ეს უკეთესი ღონის ძიება გვგონია რომ ბოლო მოეღოს კათოლიკე ერთა შორის განხეთქილებას ამიერ კავკასიაში და არც სომხის კათოლიკე სამღვდელოება უნდა გაუხდეს წინააღმდეგი, რადგან ზნეობა და სარწმუნოება ავალებს ერთა შორის მშვიდობისა და სათნოების დამყარებას ხელი შეუწყოს.

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი ამ ზაფხულს სხვაგან მიემგზავრება თავის საქმების გამო და რედაქტორის თანამდებობას დროებით გ. თ. ყიფშიძე შეასრულებს.

✦ კავკასიის მთავართებელი თ. გ. ს. გოლიცინი ხელმწიფე იმპერატორმა გააბედნიერა და 30 ივნისს ინახულა. თ-დი გოლიცინი წამოვა პეტერბურგიდგან 5 ივნისს, 9 ივლისს ესენტუკში გაატარებს და ტფილისს 11 ივლისს ჩამოვა.

✦ მისმა უმაღლესობამ პრინც ალექსანდრე პეტრეს ძემ ოლდენბურგსკიმ მიიღო წოდება ქ. სოხუმის საპატიო მოქალაქისა.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მიერ არჩეულნი მაზრის წინამძღოლებად სამის წლის ვადით დამტკიცდნენ: წინამძღოლად შორაპნის მაზრისა—პრაპორჩიკი მილიციისა, თ-დ სვიმონ დავითის ძე წერეთელი, სენაკისა—პრაპორშჩიკი მილიციისა, თ-დი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე დადიანი და ზუგდიდისა—პრაპორშჩიკი მილიციისა, თ. გრიგოლ კონსტანტინეს ძე დადიანი.

ამათ თანაშემწეებად: შორაპნის მაზრისა—თ-დი ნესტორ კოსტანტინეს ძე ხიდირბეგიშვილი, რაჭისა—თ-დი მიხეილ მინას ძე ჯაფარიძე, სენაკისა—აზნაური ალექსანდრე დიმიტრის ძე გუგუშვილი, ზუგდიდისა—თ-დი ვარადებულ გიორგის ძე აფაქიძე და ლეჩხუმისა—თ-დი ნიკოლოოზ მიხეილის ძე გელოვანი.

დეპუტატებად: ქუთაისის მაზრისა—თავადი იასონ ნიკოლოოზის ძე ნიჟარაძე, შორაპნისა—აზ. ზაქარია კონსტანტინეს ძე მაჭავარიანი, რაჭისა—აზ. იასონ თომას ძე ბაქრაძე, სენაკისა—თავ. ივანე ელიზბარის ძე დადიანი, ზუგდიდისა—პრაპორჩშიკი მილიციისა, თავ. ნიკოლოაზ კოსტანტინეს ძე დადიანი, და ლეჩხუმისა—პრაპორშჩიკი მილიციისა თავ. ალექსანდრე თომას ძე გელოვანი.

თავად-აზნაურთა დეპუტატის მდივნად—აზნაური დავით ბესარიონის ძე მდივანი.

✦ ქართულ დრამატიულ კომიტეტს განუზრახავს მოიწვიოს რეჟისორად ქართულის თეატრისა ჩვენი პოეტი თავ. აკაკი წერეთელი და იმედი აქვს, რომ მისი გამოცდილება და სასცენო ხელოვნების ცოდნა ბევრად განაკარგებს ჩვენს თეატრს. კომიტეტმა გაუგზავნა კიდეც აკაკის მოწვევის წერილი და თანხმობას ელის.

✦ პირველი სანიმუშო წიგნი ქართულის კრებულისა „თეატრი და ხელოვნება“, ვალერიან გუნიას რედაქტორობით, უკვე მზადდება და შემოდგომაზე გამოვა. წიგნი იბეჭდება 2,000 ცალად. კრებული იმდენად ვრცელია თურმე, რომ შესაძლოა ყოველგვარ ხელოვნებას შესახებ იბეჭდებოდეს წერილები.

✦ მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობას დაუბრუნდეს მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის დაარსების დროს შეტანილი თანხა.

✦ ქალაქის გამგეობა დავას უცხადებს თამამშოვების ქარვასლის პატრონებს იმის გამო, რომ ამ რამდენისამე წლის წინად ქარვასლას მაღაზიები მიაშენეს და მით დაისაკუთრეს ქალაქის ადგილი ერევნის მოედანზე. ამ დუქნების მოქირავნეთ გამგეობა ქირას სთხოვდა. ამის გამო თვით თამამშოვებმა წარუდგინეს გამგეობას ამ დუქნების შემოსავალი 715 მან. 66 კ. და თან აცხადებენ, რომ ქალაქის დავა და მაღაზიებისაგან ქირის აღება სრულიად უსაფუძვლოა, რადგანაც სადაო მიწა ჩვენი საკუთრება არისო.

✦ რადგანაც ტფილისის განაპირა ადგილი ვერაზედ ძალიან მალე გაშენდა, ახალშენებმა საჭიროდ დაინახეს წყნეთის ქუჩიდგან რიგიანი გზები გააკეთონ და დიდს ხევზე, წყნეთის ქუჩის ბოლოს, ქვითკირის ხიდი გასდონ. მასალა უკვე მზად არის, ნებართვაც აუღიათ გუბერნიის სამმართველოსაგან და მუშაობას მალე შეუდგებიან.

✦ ქალაქის საბჭოს, 2 ივლისს, 28 ხმოსანი დაესწრო. სხდომა დაიწყო ღამის 10 საათზე, რადგანაც მინამდე ხმოსანთა საჭირო რიცხვი არ შეგროვდა მრავალ საქმეთაგან, რომლებიც ამ საღამოს უნდა განეხილა საბჭოს, მხოლოდ ერთი გადაწყდა. როგორც მკითხველებს მოეხსენებარ, მ. არამიანცმა შესწირა ტფილისს 100,000 მანათი საავადმყოფოს დასაარსებლად. ქალაქის გამგეობა, განსაკუთრებული კომისია ხმოსან-ექიმებისა და კომისია, რომელიც ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნავს, ვერ შეთანხმდნენ, როგორ გამოიყენონ ეს ფული, ან რაგვარი საავადმყოფო დაარსონ. ზოგი ჰფიქრობს შინაგან სნეულობათა საავადმყოფო დავაარსოთო, ზოგი ამას საქირურგო განყოფილებასაც უმატებს, ზოგი-კი იმ აზრისაა, რომ შეშლილთა და სულით დავრდომილთა საავადმყოფო უფრო საჭიროა ქალაქისთვისაო. ხმოსნებმა დიდხანს ილაპარაკეს ამაზე ძ ბოლოს გადასწყვიტეს შინაგან სნეულებათა საავადმყოფო დაარსონ და საჭირო შენობა ააშენონ არამიანცის მიერ შეწირულის თანხით. ამასთან საბჭომ დაავალა გამგეობას მალე შეიმუშაოს მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქის საავადმყოფოების სასარგებლოდ განსაკუთრებული გარდასახადი შემოიღონ.

✦ ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს შუამდგომლობა, რომ რუსეთის რკინის გზებზე უფასოდ იმოგზაურონ სახელოსნო სასწავლებლის შეგირდებმა, რომლებიც ამ ზაფხულს მოსკოვსა და სხვა ქალაქებში მიჰყავთ, გზათა სამინისტროს არ შეუწყნარებია.

✦ საქართველოს ეპარქიაში წარსულ სამოსწავლო წელს 198 სამრევლო საეკლესიო სკოლა ყოფილა. აქედან მეორე ხირისხის სკოლა ყოფილა—2, ორ-კლისიანი—8, ერთკლასიანი—128, წერა-კითხვისა—56 და სამაგალითო—4. 144 სკოლაში ორისავე სქესის მოწაფენი ერთად სწავლობენ. 25 სკოლაში მხოლოდ ვაჟები არიან, 29 სკოლაში მხოლოდ ქალები. სულ სამრევლო სკოლებში წარსულ წელს ითვლებოდა 8592 მოსწავლე. აქედან ვაჟი იყო 5071, ქალი—3521, ასე რომ თითო სკოლაზე 43 მოწაფე მოდის. სარწმუნოებით განიყოფებიან ასე: მართლმადიდებელი—7742, სომეხ-გრიგორიანი—491, სექტანტი და მწვალებელი 247, მაჰმადიან—61, კათოლიკე—25, პროტესტანტი—2.

✦ გუშინწინ ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული იყო საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის არტელის უფროსის დამანსკისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ტფილისის სადგურის უფროსის კულჩიცკის დაბეზღება. რადგანაც ერთი მოწამე არ გამოცხადდა, საქმის განხილვა სხვა დროსათვის გადაიდვა.

✦ ჰფიქრობენ ბათუმში ოლქის სასამართლოს დაარსებას. ამ სასამართლოს უნდა დაექვემდებაროს ბათუმისა და სოხუმის ოლქები.

✦ 30 ივნისს ბათუმის საბჭოს უნდა აერჩია ქალაქის მოურავის მოადგილე, მაგრამ, ხმოსანთა საჭირო რიცხვი არ მისულა და არჩევნები შემდეგისათვის გადაიდო.

✦ სიღნაღის მაზრის ჩალაუბნის სოფლის საზოგადოებას ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო გამოიტანოს საზოგადო მაღაზიიდან 120 ფუთი პური და 50 ფუთი ფეტვი და მიჰყიდოს ღარიბ სოფლელთ, პური 60 კაპ., ხოლო ფეტვი 30 კაპ. ფუთი. თუ მყიდველთ ფულის გადახდა ეხლავე არ შეუძლიანთ, შემოდგომაზე უნდა გადაიხადონ.

✦ დ. ხონიდამ გვწერენ: წელს პირველად 7 ქალმა დაამთავრა სწავლა ხონის საქალებო პროგიმნაზიაში: ქეთევან ქუთათელაძემ, ელენე ბახტაძემ, თამარა პილაევმა, ალისა ქუთათელაძემ, მაკრინა გრძელიძემ, ნატალია ჩხიკვიშვილმა და ელენე ქუთათელაძემ. რამოდენიმეს ამათგანს სურვილი აქვს გააგრძელონ სწავლა ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში, სადაც მეხუთე კლასში უკვე იქმნენ მიღებულნი.

✦ შავი ზღვის ნაპირზე რკინის გზის გაყვანას ამ შემოდგომაზე შეუდგებიან, მანამ-კი ეხლავე საკითხი ამ გზის შესახებ უნდა გამოირკვეს და გადასწყდეს.

✦ გუშინ 4 ივლისს, რიყეზედ, ხოსროევის ქარვასლაში მოჰკლეს კარაპეტა მოსეს-ძე თომაიანცი. ეს საქმე ასე მომხდარა: ნაშუადღევის 3 საათზედ თომაიანცს, და მის ამხანაგს გეორქა კირაკოზოვს და იმათ მეგობრებს არტემა ოდანეზოვს (იგივე ზაქოშვილი) სადილი ერთად უჭამიათ. სადილს შემდეგ ოდანეზოვი შინ წასულა და დუქანში დარჩენილან კირაკოზოვი, თომაიანცი და მათი მოჯამაგირე სიღნაღის მაზრის სოფ. ვაქირის მცხოვრები მოსე ჯანუაშვილი. შემდეგ კირაკოზოვიც შინ წასულა და დახლში დარჩენილა თომაიანცი. ხუთ საათზედ კირაკოზოვი დაბრუნებულა დუქანში, სადაც აღარ დახვედრიან არც თომაიანცი და არც ჯანუაშვილი. ბევრის ძებნის შემდეგ კირაკოზოვს დუქანი დაუკეტია და შინ წასულა. რადგან თომაიანცი არც მეორე დღეს მოსულა დუქანში, კირაკოზოვს დუქნის უკანა ბნელს საკუჭნაოებში დაუწყვია სანთლით ძებნა და თომაიანცი ცარიელის ტომრების ქვეშ უპოვნია მოკლული. იქვე გდებულა ხანჯალი, რომლითაც თომაიანცი მოუკლავთ. თომაიანცს, როგორც ამბობენ, უბეში ჰქონია საამხანაგო ფული 700 მან. მკვლელს ეს ფული წაუღია. მოსე ჯანუაშვილი დუქნიდამ გაქცეულა და ჯერაც არ იციან, სად არის.

## სოფლის მასწავლებელი და გლეხ-კაცობა.

ვინ მოსთვლის, რამდენი გარემოება ეღობება წინ იმ სოფლის მასწავლებელს, რომელსაც უნდა გამოიყვანოს ხალხი სიბნელიდგან და დააყენოს წარმატების გზაზედ. სოფლის მასწავლებელმა უნდა გულ-დამშვიდებით აიტანოს შიმშილიც, სიტიტვლეც, ლანძღვაგინებაც, დევნაც და ბევრჯერ ცილის წამებაც, რომ მიაღწიოს იმ სასურველს საგანს, რომელსაც შესტრფის. შეიძლება მსხვერპლიც გახდეს უვიცობისა და გაუნათლებლობისა, მაგრამ მასწავლებელს ისე უნდა ჰქონდეს შესისხლ-ხორცებული და წარმოდგენილი ეს დამაბრკოლებელნი გარემოებანი, როგორც თავის ხელის გულსა ჰხედავს, მედგრად უნდა ებრძოლოს ვით თავგანწირული მეომარი, ბრძოლის ველზედ გამოსული და არ უნდა შედრკეს.

ერთი ისეთი შემთხვევა მქონდა ს. ნორიოში (ტფილისის მაზრაა) მასწავლებლობის დროს, როდესაც ადვილი შესაძლებელი იყო მსხვერპლად გავმხდარიყავ ხალხის ბრბოსი. მარტყოფსა და მის მახლობელ სოფ. ნორიოში, რომელიც ერთს დროს „მარტყოფის უბნად“ იწოდებოდა, აბრეშუმის ჭიის მოვლამოშენება ისე იყო გავრცელებული, რომ ერთად-ერთ ხელობად მიაჩნდათ. ამას მხოლოდ ხელს უშლიდნენ საქართველოს დაუძინებელნი მტერნი: სპარსელები და ბოლოს ლეკები. შემოერტყმეოდნენ თუ არა დედა-ქალაქს ტფილისს, მარტყოფელები და ნორიელები დიდს გაჭირვებასა და შევიწროებაში ვარდებოდნენ, როგორც მახლობელ სოფლების მცხოვრებნი. ამ გარემოებასაც არ უშინდე-

ბოლენ ნორიოელები და მუდამ იმას გაიძახოდნენ: „მელი შიშით ცხვარი ვერ გაუწყვიაო", და მისდევდნენ აბრეშუმის მოყვანას, ვიდრე ერთმა შემთხვევამ ნორიოელებს და მარტყოფელებს ხელი არ შეუშალა. ერთ წელიწადს მოვიდა აბრეშუმის ჭია გაიზარდა. ჭიის უკანასკნელ ზრდის დროს შემოკლდათ საჭმელი ჭიისა და [illegible] ლეკებისა. [illegible]

ამ ამბავმა, რომელმაც დიდად შეაშინა და შეაძრწუნა ორისავე სოფლის მცხოვრებნი, მიიზიდა მარტყოფის მიტროპოლიტ სტეფანეს ჯეროვანი ყურადღება. მიტროპოლიტმა, [illegible] აბრეშუმის მოყვანა.

აი მოკლე ისტორია იმისა, თუ როგორ [illegible] ორ უძველეს სოფელში აბრეშუმის მოყვანა, სადაც ერთ დროს ისე აყვავებული იყო.

აბრეშუმის მოვლა-მოშენების მოსპობასთან [illegible]

ბოლოს შემთხვევამ მოიტანა, რომ ისევ აღდგენილიყო აბრეშუმის მოვლა-მოშენება ამ ორ სოფელში; ეს შემთხვევა იყო [illegible] 1877 წ.; [illegible]

ეპისკოპოზმა მოკლედ და გონივრულად აუხსნა ხალხს [illegible]

უწინდებურად მის მოშენებას. რაიც შეეხება მარტყოფის მიტროპოლიტის წყევლას აბრეშუმის ჭიის მოყვანაზედ, მიტროპოლიტს სდომებია, რომ ხალხი დაეხსნა ლეკების მიერ ხოცვისაგანაო.

მართალია, ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ნათლად დაანახვა ხალხს აბრეშუმის ჭიის მოვლა მოშენების სარგებლობა და დართო ნება კვლავ ამ საქმეს მიჰყოლოდა, მაგრამ ხალხს ისე ჰქონდა შესისხლ-ხორცებული და შეთვისებული ამ საქმის დაწყევლა, რომ ამ ღოხის ძიებამაც ვერ იმოქმედა, ვერ უშველა საქმის გაძრიელებას და განახლებას. ეპისკოპოზის სიტყვები დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". აი სწორედ ამ გარემოებამ მაიძულა, ჩემ მასწავლებლობის დროს ს. ნორიოში აღმედგინა აბრეშუმის მოყვანა კვლავინდებურად. გადაწყვეტილი მქონდა, რაც უნდა დაბრკოლება გადამეღობოს წინ არ შევუდრკები და უკან არ დავიწევ მეთქი. ამ საქმეს დიდი გამოცდილებაც ესაჭიროებოდა, რომელსაც, მე მოკლებული ვიყავ. მაგრამ იქნება მეც ისე მომივიდა, როგორც სომხის ტერტერას: „ულელი რომ გადააგდო კურდღელს მოხვდა და მოჰკლა". ან იქნება ჩემმა სიტყვებმა იმოქმედა გლეხებზედ.

(დასასრული იქნება)

## ლუდის ხდისა და ხმარების საქმე ხევსურეთში.

შემდეგი*)

თვით ლუდის ხდის საქმეც, ხევსურეთში დიდი—ხნის საქმეა. ხევსურებმა იციან: „ეგ ჩვენ მამა-პაპათა ანდრეზ 7) ასაო" ამიტომ უფრო დახელოვნებულნი არიან ამ საქმეში, ვიდრე სხვა მთიელები. სპეციალისტებიც-კი ჰყავთ ხევსურებს ლუდის ფუვლის საქმეში. ასეთს სპეციალისტებს ხევსურები მუდამ მიმართავენ ხოლმე, როცა-კი ლუდის ხდას შეუდგებიან. ხევსურეთში იქ უფრო ხშირად ხდიან ლუდს „საცა უფრო სახნავიან ხახხი ასაო". ვარაუდით ასე 3,000 მცხოვრები იქნება, რომელიც ლუდის ხდის საქმეს მისდევს. თითო ოჯახი წელიწადში ხუთ-ექვსს ქვაბს (თითო ქვაბში ვარაუდით 30—60 თუნგამდის ჩადის) ლუდს იხარშავს თავისთვის. ბაზართან, მის მაზანდასთან, ქარხნებთან გამოხდის დროს ემმაკობა—ყალბობასთან ხევსურებს არავითარი კავშირი არა აქვთ, რადგანაც მარტო თავიანთ წუურვილის მოსაკლავად აქვთ მიჩნეული ეს საქმე და არა როგორც სახსარი საცხოვრებლად.

ხმარებით ლუდს ორივე სქესი ხმარობს, ასე გასინჯეთ ბავშვებიც კი. დედაკაცებს და ბავშვებს უშლიან მამაკაცები სმას, მაგრამ იგინი უოველთვის არ უგონებენ. სმენ ლუდს ხის ჯამებით, ხის პატარა ნავებით, რქის კათხებით და ვერცხლის თასებით. სმის ზომა განუსაზღვრელია: ზოგი ბევრსა სვამს, ზოგი ცოტას. ვისც მოყვარული არის ლუდისა დალევს ასე ერთ ორ ჯამს, ვინც „ოსტატია" სვამს გაბმით, სადაც კი უნდა იყვეს თუნდა დათრობით ხევსურული ლუდი „დიდხანს" 8) ათრობს და გვიანაც ნელდება. ხევსურული ლუდი თავს ატკივებს კაცს მაშინ, როდესაც ქერში დვარძლი შეჰყვება. მუცელს—როდესაც დამჟავებულია და გულს ურევს მაშინ, როდესაც კერპი ხევსური ერთმანეთში აურევს არაყსა და ლუდს. გარდა ამ უმნიშვნელო ვნებისა ხევსურულ ლუდს სარგებლობაც მოაქვს მათთვის. ხევსურის აზრით „ლუდი ძალიან ასუქებს, ისე ასუქებს, არც ხორცს არც ყურძენ არ დაასივებს, ლუდ ძალიან მატებს!.." ლუდის ხმარების დროს ხევსურებს სულ სხვა-და-სხვა ჩვეულებები აქვთ, იმისდა მიხედვით სად სვამენ სახლში თუ ხატში. სახლში სმენ ლუდს შემდეგის წესით:

ხნიერი ხევსურები სხედან, ახალგაზდობა კი ცალ ფეხზე დაჩოქილი. მომღერლები მამაკაცები ფანდურზე დამღერენ ლექსებს, დიაცები „გარმოხზე", სხვანი სმენ რიგ- რიგისად: ჯერ უფროსები, მერე ამ რიგად ხურდება სმა. თუ სტუმარი შემოუსწრობთ ყველანი ფეხზე წამოიშლებიან და შესძახებენ:

— მაგვიხელ მშვიდობითა!

სტუმარი უპასუხებს:

— დამხვდით მშვიდობითა! აშენდით სრუ 9) ჰულამ ლხიხზე შაიყრებითა.

მერე ხნიერი ხევსურები გასძახებენ ახალგაზდებს.

— აქ გადმახდინეთა ჩიკაზედა. 10).

სტუმარი ეტყვის:

— დაბრძანდითა, მე არ მეკუთვნისა მანდა. უფროსები ხართა". უფროსები უპასუხებენ სტუმარს:

-- სტუმარი ხარ. სტუმარ-მასპინძლობას თუ ვერ გავიგებთა, რაღას ვაკეთებთა. თან უმცროსებს დაუყვირებენ, თუ უმცროსები თავიანთვის, შენ მარტო და სტუმარის მოსვლაზე ყურს არ იბერტყამენ, რომ:

— უნცროსებო, ახალუხალო 11) მასულდი სტუმარი გაიგითა, თავის ხმაზედ ნუ გაქთა გული. სტუმრის ნახვა არ იცითა. სტუმარი პატივის ცემა არ იცითა. ნამუს არ იცითა".

ბოლოს, როდესაც შესაფერ, გამოსახენ ადგილს უთმობენ სტუმარს, ძლივს დაგდებიან სტუმრის პატივისაცემლად ფეხზედ ამდგარი მასპინძლები, და განაგრძობენ სმას და სტუმრის დღეგრძელობას; მიართმევენ მერე ლუდს და სტუმარიც დალოცავს თავის მასპინძლებს შემდეგის სიტყვებით—„ღმერთმა გადღეგრძელას, გამყოფას, მანამ ცა და მზე ასა, მანამდი გადღეგრძელოსა, მანამდე თავის ჯალაფით არ მოსძულდები, მანამდე გადღეგრძელოსა. მანამდე გადღეგრძელოს, მანამდი ჭიანჭველა ქალაქში წავლო—და იქით 10) მარილის ქვას იყიდისა, ცხის წვერზე აიდებსა, მემრე კი მოკლასათ და შვილების ხელით დაგმარხასთ. ხალხნო, დღეგრძელობა ამ კაცს, თქვენ —მშვიდობა. მე ვერა ვსთქვი, ღმერთმა ბრძანასა 11). იღებს ჯამით ლუდს, სვამს, და როცა ძირს უჩვენებს, იძახის: ღმერთმა აგაშენას, აი დავლიე, მე რა მოკაკლდ ღმერთმა ის შაგისრულოსა, სტუმარმა რაც მოკაკლო". იწერს პირჯვარს და თავისს სადღეგრძელოს ათავებს შემდეგის სიტყვებით:—„აი ღმერთმა გიშველათ, ჯვარმაც 12) გიშველასთა".

სტუმარი რომ ამ სიტყვებს დაათავებს, გამოდის უფროსი მასპინძელი, იღებს ფანდურს, დაიჩოქებს ცალ მუხლზე სტუმრის წინაშე და „შამღერნებს" და შეაქებს სტუმარს შემდეგის ლექსით:

დგომამც ქნა შავის ლუდისა,
გათავებამდის არ იყო,
მოსვლაი კარგი სტუმრისა,
შინ წასვლა წესიმც არ იყო.
პური და ღვინო უსტუმროდ.
ვისც უამს, ნუმც უამებაო,
მზემც ნუ მოვ უსტუმროდ,
მოვიდას ნუმც კი დაღამებაო.

ახლა სტუმარი ჩამოართმევს ფანდურს და დამღერებს:

„სასტუმროელო მზეს ჰგავხართ,
სამასპინძლო მთვარესა,
მტრისა დასატირებლად,
ქვას ჰგავხართ გორიელესაო;
ადვილათ გასაგერშავად
შგელს ჰგავხართ მორიელესაო. 13)

სტუმარი ამ ლექსს მღერის მაშინ, თუ მასპინძლის ოჯახში მშვიდობიანობაა; თუ მასპინძლის ოჯახში ჭირი, დარდი-ვარამია, მაგალითად, თუ ახალი მიცვალებული ჰყავთ, ან სხვა რამ, მაშინ სტუმარი შემდეგს ლექსს უმღერებს:

„ტირილითა და გლოვითა, 14)
მტერნი არ შაგვინახებენ,
ჩვენ გაიგებენ დუშმანნი
მუქარას დაგვიბარებენ;
რა გზაში მაშოგვეყარნა,
ხმლით გვცემენ, არც დაგვინახებენ.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია", № 140.
7) ანდერძი არისო.
8) გვიან.
9) სულ.
10) გადმოსვით სკამზედა.
11) ახალგაზდებს.
10) იქიდან.
11) იმათ სალოცავმა ხატმა.
12) მოვა.
13) მთარულს.
14) გლოვითა.

## ჩვენებური ამბები

**ბორჩალო.** გაზაფხულზედ რამდენჯერმე მოვიდა სეტყვა და მცირე ზარალი მისცა სოფლელებს—დიდ დუმანისს დ ვარდის უბანს. აზარალა ეს სოფლები აგრეთვე დიდმა ქარიშხალმა და ქარამოტმა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამ ზარალს გაუძლებდა კაცი, რომ 21 ივნისს დიდი ნიაღვარი არა ყოფილიყო; რაც სეტყვამა და ქარიშხალმა დააკლო ჭირნახულებს, ის ამ ნიაღვარმა შეუსრულა. თავად შარშანდელ მოსავალს უჩიოდნენ აქაურები დ წელს-კი უარესი მოუვიდათ. ნიაღვარმა, იმის გარდა, რომ წალეკა ჭირნახულები და დააწვინა ყანები, სხვაფრივაც ზარალი მიაყენა სოფლებს. მან იმსხვერპლა კაცი: დაახრჩო დიდ-დუმანისის მცხოვრები ნიკოლოზ დავითის ძე ავქაფაშვილი.

მ. ს. დ.

—

**ს. გუბი.** ვაი-ვაგლახით დასრულდა გუბში დიდად საჭირ-ბოროტო და დაუსრულებელი საქმე—საქალებო სკოლის ადგილის ამორჩევა და მცხოვრებლებზედ შენობის მოსაწყობად საჭირო თანხის გაწერა. 30 ივანოზის თვეს მოხდა კრება, რომელმაც ნაშუადღევის 2 საათიდგან ღამის 12 საათამდე გასტანა. თუ წინა კრებაზედ უმეტესობა უარზედ იდგა და არ უნდოდა საქალებო სკოლის აშენება, ამ დღეს ამისთანა სამიც აღარ აღმოჩენილა. რა იყო ამის მიზეზი? ნუ თუ ხალხმა მხოლოდ ამ ბოლოს კრებაზედ შეიგნო სკოლის მნიშვნელობა? ხალხს უწინაც კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რა საჭიროა მისთვის საქალებო სკოლა, მაგრამ თუ უარზედ იდგა მის აშენებაზედ, მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო პრაქტიკულის თვალით უყურებდა ამ საქმეს, ვიდრე ზოგიერთი მისი მოთავეთაგანი.

„ჩვენც სურვილი გვაქვს სკოლები გავიხსნათ, გავნათლდეთ და სხვა სოფლებს არ ჩამოვრჩეთ, მაგრამ არა ისე, რომ ჩვენც ამას თან გადავყვეთ, ტყავი გაგვძვრესო",—ისმოდა კრებაზედ აქედ იქიდგან. „ჩვენც სასიამოვნოდ და სასახელოდ მიგვაჩნია ჩვენი შვილები ოთხ-ხუთ საათს მაინც ვიყოლიოთ სარაიებში (კარგი ძვირფასი სახლი), მაგრამ ჯერ ჩაიხედეთ ჩვენს ჯიბეში და იმისდა კვალად გვიწინამძღვრეთ, თუ გინდათ, რომ მადლობელი გაგიხდეთო",—ეუბნებოდა ხალხი მეთაურებს.

აი, ეს სამართლიანი მოთხოვნილება ხალხისა შეიქნა დაცული და საქმე სასურველათ დაბოლოვდა, ხალხმა ამოირჩია ორი კაცი, რომელთაც მიანდო მათზედ სკოლისთვის საჭირო ფულის გაწერა-შეგროვება და სასკოლო მიწის ყიდვა საშუალო ადგილას. ყოველივე მოლაპარაკება ადგილის ყიდვის თაობაზედ ადგილის მეპატრონესთან ხალხმა დაავალა ბ. ნესტორ წერეთელს, რომელმაც მისდა სასახელოდ, კეთილად დააგვირგვინა ეს საქმე მეორე დღესვე. კრებაზედ, სხვათა შორის, შემდეგი დაადგინეს: რადგანაც ახალი ნაყიდი ადგილი უფრო მოხერხებულია სავაჟო სკოლისათვის სიდიდითაც და მდებარეობითაც, ამისათვის მასზედ აგებული შენობა მოეწყოს ისე, რომ მისი გადაკეთება თავის დროზედ მოსახერხებელი იქმნეს ორ კლასიანად; ამ-ნებისათანავე ეს შენობა დაეთმოს სავაჟო სკოლას და საქალებო სკოლა მოთავსდეს ეხლანდელ სავაჟო სკოლის დარბაზში.

აი, ამ მდგომარეობაშია ამ ჟამად ქალების სკოლის საქმე და აწი კი მართლა მის მზრუნველის ბ-ნ ილარიონ სვანიძის მხნეობაზედა.

---

## ფელეტონი

ქართველები რუსეთში.

ისტორიული ნარკვევი.

([illegible])

III

(დასასრული *)

კოველად სამღვდელო იოანნეს მადლიან [illegible] 1759 წ. 2 იანვარს [illegible]

[illegible]

სა თუ არაო. უწმ. სინოდმა დაუყოვნებლივ აცნობა, რომ არაფრის გულისათვის აქ წამოსვლის ნება არ მისცეთ მაგათ, რადგან მათი აქ მოსვლა, ჯერ ერთი რომ სრულიად არაფრისათვის საჭირო არ არის და მეორე—თუ ასე გახშირეს აქ სიარული და ყველას ჯამაგირი დაენიშნა, მთავრობას ძრიელ გაუჭირდება, სადა აქვს წყარო მაგისათვის და ან საშვალებაო. ამას თან მოჰყვა სასტიკი უქაზი ასტრახანის გუბერნატორის სახელზედ; ფიცხელი ბრძანება ეძლეოდა ადგილობრივ ადმინისტრაციას, თვალყური ადევნე მანდაურ ქართველებსა და დღეიდან არამც თუ მოსკოვსა და პეტერბურგს წამოსვლის ნება აღარ მისცეთ, არამედ ასტრახანის და ყიზლიარის გარეშე სოფლებშიაც არსად გაუშვათო.

მიტროპოლიტ ნიკოლოზის შესახებ-კი მოვიდა სინოდის ასეთი ბრძანება: „რადგან იმისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაში, როგორიც შიაც დღეს მისი ქვეყანაა, მიტროპოლიტს არ ჰქონდა ნება სამწყსო მიეტოვებინა და აქ, რუსეთში გადმოსულიყო, ამისათვის ფიცხლავ ებრძანება დაბრუნდეს თვისსავე სამშობლოში და თავის სამწყსოს მოუაროს".

თუმცა ასეთი ბრძანება მოუვიდა უწმ. სინოდისაგან მიტროპ. ნიკოლოზს, მაგრამ ამით მაინც არ შეშინებულა და არც დაძრულა ადგილიდან. მიტროპოლიტმა მეორე დღესვე მიჰმართა თხოვნით თავის ნათესავს ქვრივს ანნა ბაქარის ასულს გრუზინსკის, რომელიც იმ დროს მოსკოვში სცხოვრობდა და გავლენაც ჰქონდა მაშინდელ რუსებზე. იმან დაწვრილებით აუწერა სინოდს გაჭირვებული მდგომარეობა მიტროპოლიტისა და პირადათ სთხოვა, მიეცათ ნება ამ მოხუცებულობის დროს მაინც განესვენა რუსეთში. კნ. ანნას თხოვნაზედ სინოდმა ველარა აწამა-რა, პატივი სცა და მისცა ნება მოხუცებულ მიტროპოლიტს ყიზლიარიდან გადასახლებულიყო და ეცხოვრა მხოლოდ ასტრახანში და არა სხვაგან სადმე. მიტროპ. ნიკოლოზს მისცეს ნება ეცხოვრა მხოლოდ ივანოვის მონასტერში, მაგრამ ისე-კი არა, როგორც ამ მონასტრის უფროსსა და გამგეს, არამედ როგორც უბრალო მოსულს სტუმარს. თუ მიტროპოლიტი ისურვებდა წირვა-ლოცვის შესრულებას მონასტერში, უსათუოდ ადგილობრივ მღვდელთმთავრისათვის უნდა ეცნობებინა და მისის ნებართვის შემდეგ შესდგომოდა ღვთის მსახურებას.

როდესაც მიტროპოლიტი ასტრახანში გადმოვიდა, საკრებულო ტაძარში დააფიცეს და შემდეგ, მისის თხოვნისა თანახმად, ივანოვის მონასტერში-კი არ დაუბინავებიათ, ფერისცვალების მონასტერში მისცეს ბინა. მიტროპოლიტის კრებულში სხვათა შორის იყვნენ: არქიმანდრიტი იოანნე, მღვდელთ-მონაზონი გრიგორი, არხიდიაკონი თომა, მღვდელი კირილე დავიდოვი, ბერები და მოსამსახურენი მათნი.

თუმცა მისცეს ბინა მიტროპოლიტს ნიკოლოზს და დააკმაყოფილეს მისი თხოვნა, მაგრამ ასტრახანში ცხოვრება არ ჰოსწონდა და სულ მოსკოვში წასვლას სცდილობდა. ამისათვის გაჰმართა ისევ მიწერ-მოწერა თავის ნათესავ ბაქარის ასულთან და მის შვილ ლეიბ-გვარდიის ისმაილის პოლკის კაპიტან ბატონიშვილ ალექსანდრე გრუზინსკისთან და წერილი წერილზედ მიდიოდა ასტრახანიდგან. თითქმის ტირილით შესთხოვდა მოხუცი მღვდელ-მთავარი დედა-შვილს, მომხედეთ და ასტრახანიდგან გადამაყვანინეთო: „გარდა ცუდის პურისა და მოუწყობლობისა", სწერდა იგი თავის ნათესავს, „სიღარიბე ილაჯს მიწყვეტს, წამლის სასყიდელი ფული არა მაქვს, არც ექიმის გასასტუმრებელი და არც სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელიო. ყოველ დღე ავად ვარ და მიშველეთ, მომეცით ღონისძიება, რომ მოსკოვში გადმოვსახლდე როგორმეო".

ალექსანდრესა და მისს დედას, ბატონიშვილებს, სიბრალულის გრძნობა იემალათ და ყოველი ღონის ძიება იხმარეს მიტროპოლიტი მოსკოვში გადაეყვანათ. დედა შვილმა 1760 წ. შეიტანეს თხოვნა უწმ. სინოდში, რომ საქართველოს სხვა მღვდელთ-მთავრების მგზავსად, მათ ნათესავს მიტროპ. ნიკოლოზსაც მისცემოდა ნება მოსკოვში გადმოსახლებისა და ადგილობრივ მღვდელთ-მთავრების ნებართვით წირვა-ლოცვისა აქაურ მართლმადიდებელ ეკკლესიებში. ამასთან ისიც დასძინეს, რომ ორივე დედა-შვილი თავმდები ვიქნებით მისი, რომ სხვას მიტროპოლიტი არაფერს მოითხოვს და სრული კმაყოფილი იქნება, თუ კი ნებას მისცემთ და მოსკოვში ცხოვრება შეეძლებაო. თუ სინოდს არ ექნება ღონისძიება მიუჩინოს ბინა მონასტერში, ჩვენ მოგვეცეს ნება, რომ ჩვენს საკუთარ ოჯახში იცხოვროს მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა, როგორც ჩვენმა ნათესავმაო.

სინოდს არ შეეძლო უარი ეთქვა ისეთ მიღებულ და დიდის კაცებისათვის, როგორიც იყვნენ ბატონიშვილი ალექსანდრე გრუზინსკი და მისი დედა. რამდენისამე ხნის შემდეგ სინოდმა ნება მისცა მიტროპოლიტ ნიკოლოზს გადასახლებულიყო მოსკოვში თავის კრებულით, იმ პირობით კი, რომ არც მეტის ჯამაგირის თხოვნა შეეძლო, რაც დაწესებული იყო საქართველოდგან გადმოსულ მღვდელთ-მთავრებისათვის და არც სხვაგან ცხოვრება, გარდა მის ნათესავ ბატონიშვილ ალექსანდრეს ოჯახისა. მიტროპ. ნიკოლოზს სინოდი ნებას აძლევდა ღვთის-მსახურება შეესრულებინა მოსკოვის ეკლესიებში, მხოლოდ ყოველთვის ადგილობრივ მიტროპოლიტის სურვილისამებრ.

ამ გვარად მოახერხა მიტროპოლიტმა მოსკოვში გადმოსვლა და დაბინავება. სანამ მიტროპოლიტი გადმოსახლდებოდა რუსეთში, თეიმურაზ მეფეს გადაჰყვა რუსეთში არქიეპისკოპოზი იოანნე. მიტროპოლიტ ქრისტეფორეს წაჰყვა თან მიტროპ. ტიმოთე, რომელმაც თავის ნებით ანანაურის ეკლესიიდგან გამოიტანა წმ. ნინოს ჯვარი და მიართვა იმ დროს მოსკოვში მცხოვრებს მეფე ვახტანგის ძეს ბატონიშვილს ბაქარს. ბაქარის შვილიშვილმა ეს წმ. საჩუქარი—ჯვარი წმ. ნინოსი მიართვა საჩუქრად იმპერატორს ალექსანდრე I-ს, როცა იგი რუსეთის ტახტზედ ავიდა. ალექსანდრე I-მა ეს წმ. ჯვარი და განძი საქართველოს ეკლესიისა რამდენისამე ხნის შემდეგ უკანვე დაუბრუნა საქართველოს ეკლესიას და ინახება დღეს ტფილისის სიონის ტაძარში. *)

1762 წლის დამლევს მივიდა მიტროპოლიტი ტიმოთე ყიზლიარში; მეორე დღესვე მისცა ციხის უფროსს, გენ.-ლეიტ. სტუპიშინს რაპორტი და დაწვრილებით აუწერა თავისი მგზავრობის ამბავი: „1737 წ. ვიმყოფებოდი რუსეთშიო",—სწერდა მიტროპოლიტი ტიმოთე;—„იმერეთის მეფის ალექსანდრე გიორგის ძის ბრძანებით ვიყავ რუსეთში გამოგზავნილი. სამი წელი დავყავი რუსეთში და 1740 წ. დავბრუნდი ისევ ჩემს მეფესთან ამბის მისატანად. მოვედი ყიზლიარში. აქ მითხრეს, რომ საქართველოში გადასვლა აქედგან ძრიელ ძნელიაო, რადგან ურჯულო მტრებს უჭირავთ მთელი არე-მარეო. მთელი ჩემი ხაბაკი, ეტლები და ავეჯეულობა აქ დავტოვე და მე ოთხის კაცით გავუდექ გზას, რათა შემესრულებინა ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება და წერილი მისი მიმერთმია იმერეთის მეფის ალექსანდრესათვის. მაგრამ გზაში დამიჭირეს ლეკებმა და ექვსი თვე მეცა და ჩემი მხლებლებიც დაჭერილნი ვიყავით; ორი მხლებელი გამიყიდეს და ორიც სადღაც გამიქრეს, ვერა გავიგერა. თვითონ

*) Муравьевъ. Грузія и Арменія т. I, стр. 52.

დამოკიდებული სკოლის დაარსების დროზედ სისრულეში მოყვანა; ეს კი დიდათ საჭიროა, რადგანაც წელს სხვა და სხვა პატივსაცემ მოწაფეების გამოსაცდელ სკოლის არ შეუძლიათ, როგორც შარშან ქალების სკოლას, ადგილი დაუთმონ [illegible].

გუშინ ამის წინად ერთმა გლეხმა, [illegible] თავი [illegible] მოსჭრა, როგორც გადმოგვცემენ, უკიდურესი სიღარიბის გამო ცოლ-შვილში ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო.

მიხა.

# რუსეთი

გაზეთ „ნოვ. ვრ."-ს შემდეგს სწერენ კურსკის გუბერნიის ველიკო-მიხაილოვის სოფლიდგან: „ერთ [illegible]

[illegible]

[illegible] ლი 25 მანეთიც, რომ სრულიად არ გაჰქრეს გაბჟუტავი ლამპარი!..

— უმაღლესის ბრძანებით მინისტრთა კომიტეტს წარუდგინეს უქვეშევრდომილესი ანგარიში ვიტებსკის გუბერნიის მდგომარეობისა 1901 წელს. ამ ანგარიშში ნათქვამია, რომ დედათა გიმნაზიაში მკურნალად ექიმი ქალია დანიშნულიო. მისმა უდიდებულესობამ უმაღლესად შენიშნა: ამ ადგილას „დიდად თანავუგრძნობ".

— ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველოს გაუფრთხილებია ფინლიანდიის გაზეთი „განგე" მე-76 № ში მოთავსებულ მოთხრობის „დათვი და ქიანჭველის გორა"-ს გამო.

— საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს წესად შემოიღოს, რომ სამოსწავლო უწყების მოხელეთ ქალები უფასოდ იზრდებოდნენ სახელმწიფო სასწავლებლებში.

— როგორც მოგეხსენებათ, რუსულ სამეცნიერო ჟურნალის „სამეცნიერო მიმოხილვის" რედაქტორი ფილიპოვი ამას წინად გარდაიცვალა. ახლა წინანდელ თანამშრომელთა ამხანაგობას გადაუწყვეტია განაგრძოს ჟურნალის გამოცემა.

— ციმბირელებიც თხოულობენ ერობის შემოღებას. სამეურნეო საჭიროებათა ირკუტსკის საგუბერნიო კომიტეტმა გამოსთქვა სურვილი, რომ ირკუტსკის გუბერნიაში შემოღებულ იქმნას ერობა. ამისათვის ახალი გადასახადი აწ არსებულ გადასახადის მომატება არ იქნება საჭირო. ის 400,000 მანათი, რომელიც ახლა იკრიბება საერობო ხარჯათ, სრულიად დააკმაყოფილებს ერობის მოთხოვნილებას. ამავე დროს-კი ერობა, ბევრ კეთილ საქმესთან ერთად, უფრო მოახერხებს გადასახადის სამართლიანად განაწილებას, ვიდრე ადმინისტრაცია, რომელიც ხალხზე დაშორებულია.

— კიშინევში ებრაელთა ქლეტის შემდეგ, ბევრი ებრაელთა ოჯახი გაიფანტა ქალაქის ახლო-მახლო სოფლებში. ურიებს-კი 1882 წ. 3 მაისის კანონის ძალით არა აქვთ უფლება იცხოვრონ მათთვის აღნიშნულ ადგილებს გარეშე. კანონის ძალით კიშინოვის სამაზრო ისპრავნიკს გაუცია ბრძანება ბოქაულებისათვის, სადაც უბრძანებს ჩამოიარონ სოფლები და გამორეკონ ის ურიები, რომელთაც აქ ცხოვრების უფლება არ ექნებათ. საჭიროა, ამბობს ისპრავნიკი, მიიღოთ სასტიკი ღონისძიება, რომ ძალით დაბრუნოთ ურიები წინანდელ ბინებზედ.

— ვარშავის ებრაელთა გამომცემელი ამხანაგობა „ტუშია" შეუდგა კრებულის გამოცემას, სახელად „დაახმარება". ეს კრებული კიშინოვში დაზარალებულთა დასახმარებლად იბეჭდება. კრებულში მოათავსებენ ურიულ ჟარგონზე გადათარგმნილ საგანგებოთ ამ კრებულისთვის დაწერილ თხზულებებს ლევ ტოლსტოისას, მაქსიმე გორკისას, კოროლენკოსას, ჩეხოვისას, ელიზე ორჟეშკოსას და ბევრი სხვისას. ტოლსტოის, როცა ამ თხოვნით მიმართა, უპასუხა: „ძრიელ მინდა ხელი შევუწყო განზრახულ გამოცემას და ვეცდები შესაფერი რამ დავწეროვო".

# უცხოეთი

**საფრანგეთი**, ვალდეკ-რუსსო და კომბი— სრულიად სხვა-და-სხვა ხასიათის, სხვა-და-სხვა შინაარსის კაცნი არიან. პირველი—ფართო შეხედულობისა, მეტად ფრთხილი და გულცივი; მეორე—ვიწრო შეხედულობისა, მაგრამ გულის ამყოლი და მეტად გატაცებულის ხასიათისა. ვალდეკ-რუსსოს უყვარს ყველაფერში თან-და-თანობა და წინდახედულად მოქმედება, ოცნებობს საზოგადოების მშვიდსა და ნელს პროგრესზედ, მეტად უფრთხის გაბედულსა და გადაჭრილს ღონისძიებას. კომბი-კი პირიქით, გაბედულად, შედგრად მიისწრაფვის ერთხელვე დასახულს მიზნისადმი, არ უხვევს აქეთ-იქით და არ დასდევს არავითარ დაბრკოლებას. რასაკვირველია, ასეთ კაცებს მეტად უჭირთ ერთმანეთის გაგება და, მით უმეტეს, საერთო საქმის გაკეთება. კომბი-კი არა თუ იძულებული იყო განეგრძო მის წინამოადგილის მიერ დაწყებული კლერიკალთა საწინააღმდეგო ბრძოლა, არამედ ისე უნდა შესდგომოდა საქმეს, როგორც წინამოადგილე უჩვენებდა. ცხადია, ამ ორ საზოგადო მოღვაწის ხასიათისა და შეხედულობის სხვა-და-სხვაობამ მალე იჩინა თავი. კომბმა იმ თავითვე სხვანაირად გაიგო, სულ სხვა გზა მისცა კონგრეგაციათა შესახებ კანონს, სწორედ ისეთი, რომელიც აზრადაც არ მოსვლია ვალდეკ-რუსსოს. მაგრამ ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი დიდხანს მაინც არ იღებდა ხმასა და სრულიად გულგრილად შესცქეროდა თავის მოადგილის მოქმედებას. მისი (რუსსოს) თანამშრომელნი, ლეიგი, ლანესსანი და სხ. დრო-გამოშვებით მედგარ წინააღმდეგობას აცხადებდნენ იმ მიმართულებისადმი, რომელიც კომბმა მისცა თავის კლერიკალთა საწინააღმდეგო პოლიტიკას. ზოგიერთა და კლერიკალთა გაზეთებში ხშირად ლაპარაკობდნენ,—ვალდეკ-რუსსოს არ მოსწონს კომბის ესა თუ ის ღონისძიება, ესა თუ ის შეხედულობაო, მაგრამ თვით ვალდეკ-რუსსო მაინც დიდხანსა სდუმდა. ის, როგორც დიდი ბატონი, გულგრილად შესცქეროდა გაცხარებულს ბრძოლას, რომელიც მის თვალწინ ხდებოდა, მაგრამ არავითარ მონაწილეობას-კი არ ღებულობდა. ამბობენ,—ვითომ ვალდეკ-რუსსო როცა სასამართლოში რაიმე სამოქალაქო საქმეს იცავდა, წარმოსთქვამდა სიტყვას, გადასცემდა საქმეს თავის რწმუნებულთა და გავიდოდა გარედ პაპიროსის მოსაწევად, განჩინების გამოცხადებასაც-კი არ დაუცდიდა ხოლმეო. ასევე იქცევა იგი საზოგადო ცხოვრებაშიაც. დრეიფუსის საქმის დროს ვალდეკ-რუსსო მანამდე სდუმდა, სანამ სამინისტროს შედგენას არ მიჰყო ხელი, თუმცა იმ თავითვე სულით და გულით დრეიფუსის მომხრეთ თანაუგრძნობდა. ასევე მოიქცა კლერიკალთა საქმეშიაც: გაიყვანა კანონი კონგრეგაციათა შესახებ, მისი აღსრულება კომბს გადასცა, თავად-კი ხანგრძლივს მოგზაურობას შეუდგა; დაიწყო კოხტა გემით სეირნობა ხმელთა შუა ზღვის ლაჟვარდოვან ტალღებზედ, შემდეგ ნორვეგიის თვალ-წარმტაც ნაპრალებზედ; დაჰყო რამდენიმე კვირა იტალიაში და მოისმინა მათი ქება და ხოტბა; თითქო შემთხვევით შეხვდა გერმანიის იმპერატორს; მერმე დაბრუნდა პარიჯს, სრულიად განშორდა საზოგადო საქმეებს და ისევ სამოქალაქო ვექილობა იწყო; კლერიკალთა საწინააღმდეგო ბრძოლაში-კი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, თითქოს სრულიადაც არ ეხებოდა ეს საქმე.

ამ ორიოდ კვირის წინად-კი სრულიად მოულოდნელად გავარდა ხმა,—ის ილაპარაკებს, ვალდეკ-რუსსო გალაშქრებას აპირობს კომბის წინააღმდეგაო. ამ ხმამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზედ და დიდძალი ხალხი შეჰყარა ლიუქსენბურგის სასახლეში. განსაკუთრებით ეხლანდელ სამინისტროს მოწინააღმდეგენი, რომელთაც წინდაწინვე სიამოვნების ჟრუანტელი უვლიდა. ვალდეკ-რუსსომაც რამდენადმე გაამართლა მათი მოლოდინი; დიაღ, რამდენადმე. კლერიკალები და ოპორტუნისტები იმედოვნებდნენ,—ვალდეკ-რუსსო მთელს სენატს აადელვებს კომბის წინააღმდეგ და სამსახურიდგან გასვლას აიძულებსო. მაგრამ ყოფილმა მინისტრ-პრეზიდენტმა მხოლოდ მისი კლერიკალთა საწინააღმდეგო პოლიტიკა გაატარა კრიტიკის ქარ-ცეცხლში. იმ მორიგ საკითხის შესახებ-კი—დაენიშნოს სუბსიდია სახელმწიფო ხაზინიდგან მუნიციპალიტეტებს კლერიკალთა სკოლების სამაგიეროდ საერო სკოლების მოსაწყობადაო—ვალდეკ-რუსსო პრინციპიალურად დაეთანხმა სამინისტროს. მაგრამ იმისი მკაცრი სიტყვა კომბის პოლიტიკის წინააღმდეგ, როგორც გარეგნობით, ისე შინაარსით, მეტად მაგრა მოხვდა გულში მოწინააღმდეგეთ და ეს რასაკვირველია, დიდათ სასიხარულოდ დაურჩათ კლერიკალებს; მხოლოდ რესპუბლიკელთა ბანაკი განცვიფრებული და გაოცებული დარჩა. მისმა სიტყვამ კლემანსოს მოაგონა ის ზღაპრული არაკი რიპ-ვან-უინკლის შესახებ, რომელსაც თურმე მთელი საუკუნე ეძინა და გაღვიძების შემდეგ ისეთ მსჯელობას მოჰყვა თანამედროვე ხალხსა და ცხოვრებაზედ, თითქოს ერთის ღამის მეტი არა სძინებოდეს. კლემანსოს აზრით, სწორედ იგივე დაემართა ვალდეკ-რუსსოსაც: მის მიერ შემუშავებულ კანონის განხორციელებას აგერ მთელი წელიწადია შეუდგნენ, ათასი დავი-დარაბა ასტყდა, მთელი საფრანგეთი ერთმანეთს შეეჯახა და იმას კი მხოლოდ ეხლა შეუტყვია, რომ კომბი სხვანაირად უპირობს იმ კანონს განხორციელებას და არა ისე, როგორც თავად ჰქონდა განზრახული. ჩვენაო, განაცხადა ველდეკ-რუსსომ, შევიმუშავეთ კონგრეგაციათა საზოგადოებრივი კონტროლის კანონი და თქვენ-კი სრულიად განკერძოებული ხასიათ[...] მიეცით იმ კანონსაო. თვით ვალდეკ-რუსს[...] განზრახვა ჰქონდა გაეუქმებინა მხოლოდ უფრ[...] თავ-აღებული კონგრეგაციები,—როგორც მა[...] გალითად იეზუიტებისა და სხვა და სხვა სათ[...] კილო საქმეთა მიმყოლნი—ჩამოერთმია მა[...] თვის რამდენიმე ნაწილი იმ აუარებელ ქ[...] ნებისა, რომელსაც თავი მოუყრია მათ ხელ[...] ში, მაგრამ სხვებისათვის-კი უნდა უზრუნველ[...] ეყო კანონიერი არსებობა. კომბმა-კი, რომე[...] ლსაც მხარი მისცა დემოკრატთა უმრავლესო[...] ბამ, ისარგებლა ამ კანონით და მოიწადი[...] ყველა ნება-დაურთველ კონგრეგაციათა გაუ[...] ქმება. ვალდეკ-რუსსოს სიტყვით, კონგრეგა[...] ციათა შესახებ კანონის განხილვის დრო[...] აზრადა ჰქონდათ, რომ ყოველ კონგრეგაცი[...] თხოვნა სათითაოდ მოესმინა პალატას, მა[...] რამ კომბმა და მასთან პალატამაც მხოლ[...] სამ რიგად გაჰყო ყველა თხოვნები და ყველ[...] უყურადღებოდ დასტოვა. პალატასაო—ამბო[...] ბენ სამინისტროს მომხრენი—სრული ნე[...] აქვს ისე მოიქცეს, როგორც საუმჯობესოდ[...] სცნობსო. უფრო საყურადღებოა ვალდე[...] რუსსოს ბრალდების ის მუხლი, სადაც ორა[...] ტორი ამბობს, რომ ორთავე პალატას უნდა მო[...] სმინა კონგრეგაციათა თხოვნები, მაგრამ აქაც[...] როგორც სამართლიანად შენიშნა კლემანსომ[...] სალი მოსაზრება და პარლამენტს პრაქტი[...] ვალდეკ-რუსსოსაკენ კი არა, კომბისა და უმ[...] რავლესობის მხარესაა. ყოფილ პრემიერი[...] თეორიით, მხოლოდ მაშინ ჰქონდათ ნება[...] უარ ეყოთ კონგრეგაციათა თხოვნები, თუ[...] ამას გადასწყვეტდა როგორც პარლამენტისა[...] ისე სენატის უმრავლესობა, რაკი ასეთი შ[...] თანხმება არ მოხდა, ნება-დაურთველი კონ[...] გრეგაციები ნება-დართულად იქცნენ და ამ[...] გვარად არსებობის უფლება ეძლევათო. მა[...] რამ პარლამენტის ჩვეულებრივ საკანონმდე[...] ლო მოღვაწეობაში სრულიად წინააღმდეგ[...] ხდება ხოლმე; კანონი მხოლოდ მაშინაა მ[...] ღებული, სამინისტროს მოთხოვნილება, თ[...] კერძო კაცის თხოვნა მხოლოდ იმ შემთხვ[...] ვაში კმაყოფილდება, როდესაც სენატსა და[...] პალატის უმრავლესობა მათი მომხრეა. თ[...] კი რომელიმე კანონ-პროექტი, ან სხვა მოთ[...] ხოვნილება მთავრობისა ერთ-ერთ პალატამ[...] არ იქნა შეწყნარებული, მეორე პალატამ[...] აღარ გადააქვთ—ეს სრულიად მეტი იქნებო[...] და. სწორედ ასევე მოხდა კონგრეგაციათა[...] თხოვნების შესახებაც. მაშასადამე კლერიკალ[...] თა და მათთან ერთად ვალდეკ-რუსსოს მოთ[...] ხოვნილების შესრულება იმას მოასწავებდ[...] რომ მათთვის სრულიად სხვა წესი შემოეღო[...] განსაკუთრებული შეღავათი მიეცათ.

ეს ყოველივე წვრილმანია. ვალდეკ-რუ[...] სოს სიტყვა არსებითად იმას ეხებოდა, რო[...] კომბი მეტად გაიტაცა კლერიკალთა საწინ[...] აღმდეგო პოლიტიკამაო. ჟორესის სიტყვ[...] კი ამ პოლიტიკის მეოხებით სრულიად [...] შორდება ერთმანერთს ეკლესია და სახე[...]

---

მე ღამე გამოვიპარე და სამი ღამე სულ მარტო, ქვევითი ვიარე. ბოლოს ს. ხრეითამდე მივედი *), აქედგან გადასვლა აღარ შემეძლო და საიმედო კაცის ხელით გავუგზავნე მეფეს რუსეთის ხელმწიფის მონაწერი წერილი და მე-კი ისევ რუსეთისაკენ გამოვბრუნდი. აქედგან იერუსალიმს წავედი, იერუსალიმიდგან კონსტანტინოპოლში, სადაც რუსეთის ელჩი დოლგორუკოვი ვნახე და შევევედრე: გავეგზავნე რუსეთში, ყიზლიარს, ჩემი დატოვებული ეტლი და ნივთები ჩამებარებინა და კიევის წმინდანების თაყვანისცემის ღონის ძიებაც მოეცა ჩემთვის. ელჩი დიდის სიამოვნებით დამთანხმდა, მაგრამ ამ დროს გავხდი ავად და კონსტანტინეპოლშივე დავრჩი. ახლა მივდივარ რუსეთში და გთხოვთ მიშუამდგომლოთ რუსეთის მთავრობის წინაშე, რათა გამიშვან პეტერბურგს და, თუ ეს შეუძლებელი იქმნება, მაშინ მომცენ ყიზლიარში ცხოვრების ნება და დამინიშნოთ მეც და ჩემ კრებულსაც შესაფერი ჯამაგირი".

ეს რაპორტი ციხის უმფროსმა გაგზავნა უწმ. სინოდში; სინოდმა უყურადღებოდ დასტოვა; რადგან 21 მარტს 1762 წ. იმპერატორ პეტრე მე-III უქაზის ძალით ნაბრძანები იყო, რომ „არც ერთი სამხღვარ-გარეთიდამ შემოსული ბერი, მათ რიცხვში საქართველოდგან გადმოსული ბერებიც არ მიიღოთ და არც რაიმე ადგილი მისცეთ მონასტერშიო". ამ უქაზის გამო მიტროპოლიტის თხოვნა უყურადღებოდ დასტოვეს, მაგრამ მიტროპოლიტი ამით მაინც არ დაკმაყოფილდა და კიდევ განუმეორა უწმ. სინოდს თხოვნა, რომელიც ბოლოს სინოდმა ჰპოვა დაკმაყოფილების ღირსად, დაუნიშნა იმასაც და მის კრებულსაც ჯამაგირები და 5 ივლისს 1764 წ. გამოუგზავნა უქაზი, რომლითაც ნება ეძლეოდა გადმოსახლებულიყო მიტროპოლიტი ტიმოთე რუსეთს და ეცხოვრა პეტერბურგს, მაგრამ განგებამ მაინც თავისი გაიტანა; 28 ივლისს ღამით ფერისცვალების მონასტერში დაეცა დამბლა და გარდაიცვალა. სიკვდილს შემდეგ არაფერი არ დარჩენია, არც ფული და არც რაიმე ქონება. მიტროპოლიტი დაასაფლავეს ასტრახანს, იმავე მონასტერში, სადაც გარდაიცვალა.

*) ს. ხრეთი დღესაც არის—შორაპნის მაზრაში, რკინის გზის ყვირილას სადგურიდგან 30—40 ვერსის მანძილზედ.

## IV

ქართველები ისე არ გადადიოდნენ რუსეთში, რომ ყიზლიარში არ დაბინავებულიყვნენ. ყიზლიარი ქართველების კალონიათ შეიქმნა, რადგანაც ამ ქალაქში ბევრმა ქართველობამ მოიყარა თავი 1759 წ. ნიკოლოოზ საააკაძემ მიიღო მთავრობისაგან ნება-რთვა და ღვთისმშობლის სახელზედ ააგო ეკლესია, მაგრამამ ეკლესიას არც თავისისაკუთარი მღვდელი ჰყავდა და არც 1767 წლამდის კურთხევა ღირსებია. შემდეგ კურთხევისა მსახურებდა მტატ გარეშე მყოფი მღვდელი, როცა-კი იმ დროს იქ მცხოვრები არქიმანდრიტი ევდოკიმოსი ნებას მისცემდა. ეკლესიის ამ გვარ მდგომარეობას მიაქცია ყურადღება იქაურმა ეპისკოპოზმა და დანიშნა ამ ეკლესიის მმართველად ჯვართ-ამაღლების მონასტერში მცხოვრები მღვდლები დ დაავალა, რადგან ეგ ეკლესია ქალაქ გარეშეა, მის გალავანში დასაფლავდეს ყველა მართლ-მადიდებელი ქრისტიანე, რომელიც ქალაქ ყიზლიარში გადაიცვლება და ეკლესია ესე იწოდებოდეს სასაფლაოს ეკლესიადაო.

ეს ამბავი უცებ მოედო მთელს ქართველს მრევლს, აცნობეს მაშინვე ამ ეკლესიის აღმაშენებლის ქალიშვილს კნ. მარიამ ნიკოლოზის ასულს ჯავახოვისას და სთხოვეს შემწეობა. კნ. მარიამმა იმ წამსვე გაჰგზავნა ქაღალდი უწმ. სინოდში და სთხოვა, „რადგან მონასტრის მღვდლები სრულებით არ ცდილობდნენ გააუმჯობესონ ეს ეკლესია, ამისათვის გთხოვთ ამ ეკლესიას ცალკე მღვდელი დაუნიშნოთ და მონასტრის დამოკიდებულობა მოსპოთ; ამასთან ისიც უნდა გთხოვოთ, რომ სანამ ამ ეკკლესიას ააშენებდნენ, მე შევწირე ამ ეკლესიისთვის ორი დიდი ზარი, რომელიც დღემდის ინახება მონასტერში და არ გადაცემულა დანიშნულებისამებრ. გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ, ეს ზარები დაუყოვნებლივ გადაეცეს იმ პატარა ეკლესიას და მღვდელიც ცალკე დაენიშნოს".

უწმ. სინოდმა მოსთხოვა პასუხი იქაურს მღვდელთ-მთავარს და პასუხის შემდეგ კნ. მარიამის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნა.

1783 წ. 24 ივლისს გიორგიევსკის ციხეში მიიღეს ქართლ-კახეთის მეფის ირაკლის თხოვნა და პირობა. მეფე უქვეშევრდომილესად თხოულობდა: მე, ჩემი შვილებით დ მთლად ჩემის შთამომავლობით მიმიღოს რუსეთმა თავის მფარველობის ქვეშეო. პირობაში ეწერა: 1) „დღეის დღიდგან საქართველოს უფროსს არქიეპისკოპოზს რუსეთის დანარჩენ არქიეპისკოპოზთა შორის მერვე ადგილი უნდა ეჭიროს და ამასთან უწმ. სინოდის წევრიც უნდა იყოსო 2) მეფე ირაკლის ქვეშევრდომი თავად-აზნაურობა უნდა ყოფილიყო აღჭურვილი ისეთისავე უფლებით, როგორიცა აქვთ მინიჭებული რუსეთის კეთილშობილთ, 3) ქართლ-კახელებს თავისუფლად უნდა შესძლებოდათ რუსეთში გადასახლებაც და დაბრუნებაც და ეს მათვის არავის არ უნდა დაეშალა; 4) ქართლ-კახელების ვაჭრებს შესძლებოდათ თავისუფლად ევაჭრათ რუსეთში და ჰქონოდათ ისეთივე უფლებანი, რაც რუსეთის მკვიდრ ვაჭრებს აქვთ და სხვ.

ამის შემდეგ საქართველო დაუკავშირდა რუსეთს და იმ მისვლა-მოსვლასაც ბოლო მოეღო, რომელსაც ამ დაკავშირებამდის ვხედავდით. როგორც ზევით ნათქვამიდან დავინახეთ, რუსეთში ბევრი ქართველი წარჩინებული გვარეულობის წარმომადგენელი გადასახლებულა, ბევრი იქვე გარდაცვლილა და არის დასაფლავებული რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიასა და ქალაქში. ქართველები, რასაკვირველია, ისე არ გარდაიცვლებოდნენ, რომ მათის არსებობის რაიმე ნამთი არ დარჩენილიყო, მაგრამ რადგან თავის დროზე ყურადღების მიმქცევი არავინ იყო, ბევრი მათ შორის სრულებით დაიკარგა და გაჰქრა, ზოგიც დღესაც იპოვება, მაგრამ სიშორისა გამო ჩვენთვის ხელმიუწვდენელი შექმნილა. როგორც სჩანს სმოლენსკის ეპისკოპოზის ნიკანორის აღწერილობიდაგნ. ასტრახანში ვლადიმერის ეკკლესიაში არის დასაფლავებული საქართველოს ორი მეფე: ვახტანგ ლევანის ძე და თეიმურაზ ნიკოლოზის ძე. აქვე არიან დასაფლავებულნი სამნი მღვდელთ-მთავარნი: არქიეპისკოპოზი იოსებ, მიტროპოლიტი რომანოზ და მიტროპოლიტი ტიმოთე. მეფე ვახტანგი ჰმარხია წინა სვეტის ახლოს. მის საფლავზე იყო აღმართული თითბრის პატარა ფიცარი, რომელზედაც რუსულის ასოებით ეწერა: „Отъ корени Іеосеева и вѣтви Давидова, колѣна Соломонова, родился въ мірѣ 1675 г. Сентября 15 дня, Грузинскаго государства 6-ой царь Вахтангъ. Вселился въ сей гробъ 1763 г. Марта 26 дня за престелъ и за вѣнецъ. Нынѣ сіи зримя, благословленія прошу. *) სად დაიკარგა ეს ფიცარი, დღეს აღარავინ იცის; იგი საფლავზე აღარ არის აღმართული, ხოლო ეს წარწერა შენახულა ეკლესიის წიგნებში, ამბობს ავტორი. თეიმურაზ მეფის საფლავი და მიტროპ. იოსებისა რომანოზისა არის იმავე ეკლესიის ჩრდილოეთ-დასავლეთის კუთხეში, ხოლო მიტროპ. ტიმოთეს საფლავი-კი დღესაც არავინ უწყ[...] რა ალაგს არის. უწინ ამ საფლავებზედ ყვე[...] გან ყოფილა წარწერა ქართულად და რუს[...] ლადაც, მაგრამ 1801 წ. არქიეპ. პლატ[...] ნის ბრძანებით ეს ყველაფერი წაუშლი[...] და ქართული მღვდელ-მთავრების საფლ[...] ვებზედ ხელ მეორეთ აღარასფერი აღარ წა[...] წერიათ. არ ვიცით აგრეთვე არაფერი მღვ[...] მთავ. გრიგორის საფლავის შესახებ. ვიც[...] მხოლოდ ის, რომ იყო დასაფლავებული [...] მაცხოვრის მონასტრები, რომელიც დღ[...] სრულებით გაუქმებულია. ასტრახანის ღვთი[...] მშობლის ეკლესიაში იპოვება დღესაც ქართ[...] ლი სახარება, რომლის პირველ გვერდზედ აწ[...] რია ქართულად: „სადიდებლათ წმ. სამებისა[...] ყ-დ სადიდებელისა სრულიად რუსეთის იმპერა[...] რიცისა ანნა იოანნეს ასულისა და ნება-ყო[...] ლობით ბატონიშვილისა ბაქარ ვახტანგის [...] სა, კურთხევითა უწმ. სინოდისათა, მის ს[...] ვალებით და არქიეპ. იოსების სადიდებლ[...] იყო დაარსებული სტამბა ქ. მოსკოვში [...] დაიბეჭდა სახარება ესე ქრისტეს აქით 17[...] 15 ივნისს". ამ ფურცლის მეორე გვერდზ[...] არის ქართული ღერბი. ყდა ვერცხლით [...] მოჭედილი, შუაზედ მაცხოვარია გამოსახუ[...] და ოთხივ კუთხით ოთხი მახარებელი.

აქვე ინახება საფლავის ქვა, რომელზედ[...] აწერია ქართულათვე: „აქ არის დასაფლა[...] ბული გვამი კახეთის მდივანსა გურგენისა" [...] დანარჩენი წაშლილია. არ სჩანს არც წე[...] და არც დანარჩენი სიტყვები. არის აქვე ორი საფლავის ქვაზედ წარწერით: 1727 ივლის 16 აქ გარდაიცვალა ღამის მე-3 [...] ათზედ ქართველი ბატონიშვილი ბაქა[...] ასული კნიაჟნა პარასკევა სამის წლისა [...] არის დასაფლავებული ამ ადგილას". ეს [...] დღეს ეკლესიის შიგნივ ინახება და [...] კედელში ჩატანებული, საკურთხევლის უკა[...]

თ. ხუსკივაძ[...]

1903 წ. აპრილი.

*) პირთაგან იესესა და შტოთა დავითისათა და ტომითა სოლომონისათა დაბადებულ არს ქვეყნად 1675 წ. სექტემბრის 15-ს საქართველოს მეფე ვახტანგ მე-VI. გარდაიცვალა 1763 წ. მარტის 26-ს დღესა ტახტისა და გვირგვინისათვის. ახლა მაედველსა ამას ჩემსა გთხოვთ კურთხევასა. ავტ.

მწიფო, სახალხო განათლების საქმე ახალს საფუძველზედ დამყარდება, სრულიად ჩამოშორდებიან სახალხო სკოლას კონგრეგაციის წევრნი, რომელთაც არ შეუძლიანთ აღუზარდონ თავისუფალ ქვეყანას მომავალნი მოქალაქენიო. მაგრამ ვალდეკ-რუსსოს არ მოსწონს ეს მოსაზრება; ამიტომაც სცდილობს შესცვალოს სამინისტროს კლერიკალთა საწინააღმდეგო პოლიტიკის ხასიათი, ზომიერების კალაპოტში ჩააგდოს იგი და დინჯი მსვლელობა მისცეს, მისის აზრით, მეტად ჩქარა მომავალს საზოგადო ცხოვრებას.

მაგრამ სწორედ ამ მიზეზით ვალდეკ-რუსსოს სიტყვას მეტად დიდი საზოგადო მნიშვნელობა ეძლევა. ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი ამ სიტყვის შემდეგ, თავისდა უნებურად, ამოუდგა მხარში კონგრეგაციებსა და დიდი სამსახური გაუწია იმ ლონე-მიხდილ რადიკალებს, რომელნიც არავითარ ღონისძიებას არა ჰზოგავენ ოღონდ-კი როგორმე თავი დააღწიონ ჟორესისა და მილიერანის „ბატონობას“ და მასთან ერთად კომბის სამინისტროსაც. კლერიკალები და ოპორტუნისტები დიდის აღტაცებით მიეგებნენ ვალდეკ-რუსსოს სიტყვას, რადგან, მათის აზრით, ამ სიტყვით ნამდვილი ომი გამოუცხადა ყოფილმა პრემიერმა კომბის სამინისტროს. რადიკალთა დასი ბრალსა სდებს ვალდეკ-რუსსოს,—თავის წარსულს, თავის რწმენას უღალატაო. უფრო სამართლიანი და დინჯნი რადიკალები ამბობენ,—ვალდეკ-რუსსო-კი არ გამოიცვალა, ჩვენ გამოვიცვალეთ, უფრო გამბედავნი და შეუპოვარნი შევიქენით; ვალდეკ-რუსსო-კი იმადვე დარჩა, რაც წინად იყო. რად მიგაჩნდათ იგი რადიკალად, თუმცა გულ-ახდილი, კაცთმოყვარე და მეტად წრფელი კაცია, მაგრამ მაინც ზომიერი რესპუბლიკელი; ამასთანავე ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი არსებულ საზოგადოებრივ და ეკონომიურ წესის გარდაქმნას-კი არა სცდილობდა, არამედ იცავდა ამ წესს, მხოლოდ სხვა ღონისძიებით, ვიდრე მელინი, ან ეინარი. ვალდეკ-რუსსოს, როგორც ზომიერ შეხედულობის კაცს, ცხადად აფიქრებს, თითქმის აშინებს კონგრეგაციათა გამო ატეხილი მოძრაობა, რადგან მთელი ქვეყანა ფეხზე დააყენა ამ მოძრაობამ; ყოფილი პრემიერი სცდილობს დემოკრატთა დასის პოლიტიკა ზომიერების კალაპოტში ჩააყენოს, ერთის მხრით მელინისა და მეორეს მხრით ეხლანდელ სამინისტროს პოლიტიკათა შუა გაუკაფოს გზა საზოგადოებრივს ცხოვრებასაო“.

## თეატრი და ხელოვნება

კავკავის ქართულ სცენის მოყვარულთ ამ ბოლოს დროს დიდი ბეჯითობა გამოიჩინეს. გადასწყვიტეს, მთელს ზაფხულს კავკავის ქართული სკოლის დარბაზში თვეში ორჯელ მაინც გამართონ ქართული სახალხო წარმოდგენები. პირველი წარმოდგენა უკვე იყო ამ დღეებში. წარმოადგინეს «გაცრუებული იმედი», კომ. ორ მოქმედებად აზიანისა და „ჭკუისა მჭირს“, კომ. ერთ მოქმედებად ცაგარლისა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ: ელენე ანდრონიკაშვილი (ნინო), ნ. უაზბეგი (სტეფანე ზარალოვი), გ. უტურაშვილი (ვანო), ო. უაზბეგი (სონა), მ. თხელიძე (გიგო) ა. მ. ბურდული (კეკელა), თ. ცინცაძე (გაბო), კნ. ელ. ხიმშიევისა (ლიზა), გ. ოტიაშვილი (გლეხი), კ. კახიანი (დაქია). „ჭკუისა მჭირს“-ში მონაწილეობას იღებდნენ: გ. უტურაშვილი (მასწავლებელი) ვ. ი. ბოძიევი (იმისი ცოლი), გ. ოტიაშვილი (ბუდლან), არჩ. ავალიშვილი (გრიქულა), მ. ო. თხელიძე (ბოქაული) და სხვ.

საზოგადოდ წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო. ყველა სცენის მოყვარულთ კარგად ჰქონდათ შეთვისებული თავთავიანთ როლები და ყველაც თავის ადგილას იყო, გარდა ერთისა, რომელმაც „გაბოს“ როლი ვერ ითამაშა ისე ცოცხლად, როგორც პიესა ითხოვს. ჩინებულად და დიდის ხელოვნებით თამაშობდა კნიაჟნა ელენე ანდრონიკაშვილისა, რომლის ნამდვილ არტისტულ თამაშობას სულ განაბული უგდებდენ ყურს. ჩვეულებრივის ხელოვნებით ითამაშა თავისი როლი ბ-ნმა არჩილ ავალიშვილმაც, რომელსაც, სცენიურ ნიჭთან ერთად, ისიც ეტყობა, რომ საკმაოდ უმუშავნია სცენაზედ, რიგიანი მიხვრა-მოხვრა აქვს და თავისუფლად უჭირავს თავი. ცოცხლად შეასრულა თავისი როლი კნეინა ე. ხიმშიაშვილისამ, რომელსაც ამ ბოლო ხანებში მართლა დიდი წარმატება დაეტყო სცენაზე თამაშობაში. კარგები იყვნენ ნ. უაზბეგი, ოტიაშვილი, თხელიძე, უტურაშვილი, ქ-ნები; ბურდულისა და ბოძიევი. ქ-ნი ოლღა უაზბეგი პირველად გამოდის აქ სცენაზედ და მისმა პირველმა თამაშობამ დაგვანახვა, რომ მომავალში კარგი მსახიობი იქნება; ხელს უწყობს, სხვათა შორის, თვით ხმის სიძლიერეც.

ამ ჟამად ხელის მოწერას გამართული, აგროვებენ შეწირულებას სახალხო აუდიტორიის ასაშენებლად კავკავის სკოლასთან, სადაც სახალხო კითხვათა გარდა ხშირი წარმოდგენებიც გაიმართება. რადგანაც ამ აზრის თანამგრძნობი ბლომად აღმოჩნდენ თვით შეძლებულთა შორისაც, იმედია ყველა ხელს შეუწყობს ამ ფ'დ საჭირო და სასურველ საქმის კეთილად დაგვირგვინებას და აქაური ქართველობაც ხშირად მოისმენს წარმოდგენებს ქართულს ენაზე ჩვენის საუკეთესო სცენის მოყვარულთაგან თუ არ გაგვექცნენ კავკავიდან სასურველია აგრეთვე, დაარსებული იქმნას ამხანაგობა სცენის მოყვარულთა საერთო სამუშავოთ და არა ისე, როგორც დღეს არის, ან დღემდის უოფილა.

კახა ბერი.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

3 ივლისი.

**პორტ-არტური.** როგორც პეკინიდგან იტყობინებიან, ჩინეთმა ისესხა რუსეთ-ჩინეთის ბანკიდგან ორი მილიონი ტაელი. სარგებლის მაგივრად უპირატესობას აძლევენ რუსეთ-ჩინეთს თურქესტანში.

კორეიაში მოუსავლობის გამო იმპერატორის იუბილეი გადადებულ იქმნა.

**ვაშინგტონი.** ამბობენ, რომ მანჯურიის საქმეთა რუსეთის რწმუნებულსა და შეერთებულ შტატების სახელმწიფო მდივანს ბჭობა ჰქონდათ და ამ ბჭობას კარგი შედეგი მოჰყვაო.

**კიევი.** ტროიცკის მოედანზედ, ღამის 12 საათზე, მომავალმა, ვიღაც უცნობმა კაცმა რევოლვერი ესროლა პოლიციელს და საჩქაროთ მიიმალა. პოლიციელი მძიმედ დაიჭრა თეძოში. მისი მდგომარეობა საშიშია.

**მოსკოვი.** მოსკოვის საეკლესიო მღრთშეებმა გაგზავნეს საროვის უდაბნოში შვიდი მოვავარაყებული ღუსკუმა ღირსის სერაფიმეს წმინდა ნაწილებისათვის, შოამზადეს საუკეთესო ნაკეთები დროშა მინანქრითა და ვერცხლის მკვრივი კანდელი, ხოლო კოლომნის საეკლესიო მღრთშეებმა კი გააკეთეს სერაფიმეს დიდი ტანის ხატი.

**ბორისოგლებსკი.** გუშინ აქ მოვიდა რკინის გზათა მთავარი ინსპექტორი გორჩაკოვი, რომელმაც მიიღო ბორისოგლებკის რკინის გზის სახელოსნოს მუშებისაგან მირთმეული განცხადება. მუშაობა შეუწყვეტლივ სწარმოებს.

**სამარა.** 2 ივლისს, პოკროვის უბანში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლისაგან განადგურებულია 500 სახლი და პურის ყველა ბეღელი. კაცთაგან იმსხვერპლა ხუთი. ზარალი 7 მილიონამდეა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამორკვეული არ არის.

**პორტ-არტური.** ეკლესიის საძირკვლის ჩაყრის გამო გამართულს საუზმეზედ სამხედრო მინისტრმა სთქვა: „ღრმად დარწმუნებული ვარ რომ პორტ-არტურის აქაურ მოღვაწეთა შეოხებით მიუდგომელი სიმაგრე ყველა მტერთათვის, რამდენიც უნდა იყოს და საიდგანაც უნდა მოვიდეს იგიიხ. გსვამ ქალაქის აღყვავებისა და მისი კეთილის გეხიოს-შემქმნელის ევგენი ივანეს ძის ალექსეევის სადღეგრძელოს. ურა“!

**ბლაგოვეშჩენსკი.** გარდაიცვალა Амурская Газета“-ს რედაქტორი კირხნერი.

**ხაბაროვსკი.** „Пріам. Вѣдм.“ გადაკეთებულ იქმნა ლიდ ოფიციალურ გაზეთად და გამოვა კვირაში სამჯერ. ახალ რედაქტორად მოიწვიეს ბ-ნი ანჩევეცკი.

**ლონდონი.** თანხმად დიდ-ბრიტანიასა და სპარსეთს შორის დადებულ სავაჭრო ხელშეკრულობისა, რომელიც 14 მაისს იქმნა დამტკიცებული, ორსავე მხარეს მეტი უფლებანი ექმნება მინიჭებული. მოსპობილ იქმნება სპარსული ხუთპროცენტიანი ბაჟი ცოტაოდენის გამოკლებით, რომელიც დაწესებული იყო ყველა საზღვარ გარედ გასატან საქონლებზედ; მოსპობილ იქმნება აგრედვე საქარავნო გზების შესანახად არსებული გადასახადები და სხვ.. სავაჭრო ხელშეკრულობაზედ დამატებულ დეკლარაციის ძალით, სპარსეთი უზრუნველ ჰყოფს ინგლისის საქონელზედ ყოველგვარ ბაჟის დაკლებას ისე, როგორც რუსეთიდგან გატანილ საქონლებზედაა დაწესებული.

**ლონდონი.** პორტ-არტურიდგან იუწყებიან, რომ რუსეთის დიპლომატთა და სხვა მოხელეთა თათბირი გუშინ დასრულდაო. თანამდებობის კაცებმა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ თათბირში, განაცხადეს, რომ რუსეთი ეწინააღმდეგება მანჯურიის ტერრიტორიაში უცხო ქვეყნების გაჭრობას იმ მოსაზრებით, რომ უცხოეთის კონსულებს იმ ქალაქებში, რომელნიც ნამდვილად რუსეთის მმართველობაშია, ჩინეთის მთავრობისაგანაც სავაჭრო ნდობა უნდა ჰქონოდათ, ამისთანა მდგომარეობა-კი გამოიწვევდა დიდ უთანხმოებას, როგორც ეს მოხდა ნიუ-ჩჟუანში.

**პეკინი.** ამერის ელჩი მივიდა ნიუ-ჩჟუანში, რომ დარწმუნდეს, რა გვარია იქ საქმეთა მდგომარეობა.

**რომი.** პაპის ჯანმრთელობის მდგომარეობას ცვლილება არ ეტყობა. მიელი ღამე არა სძინებია. ემჩნევა ჩქარი სუნთქვა, რადგანაც გულ-ბოყვში ჩამდგარი წყალი მოემატა.

**ბელგრადი.** სერბიის ელჩები პარიჟს, ლონდონსა და ათინაში სამსახურიდგან გაიწვიეს. ლონდონსა და ათინაში საელჩოები გაუქმებულ იქმნა.

4 ივლისი.

**მოსკოვი.** ვედენის მოედანზედ ჩაჰყარეს ქალაქის სახალხო თეატრის საძირკველი 800 კაცის დამტევ აუდიტორიით.

**კისსინევი.** მოვიდნენ ჩერნოგორიის მთავარი და მთავრინა.

**რომი.** პაპი უფრო და უფრო სუსტდება; უეცარი სიკვდილის შიში ძლიერდება.

**პეტერბურგის ბირჟა**, 1 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,80 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,32½ |
| ლონდონში ჩეკები | 94,45 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,60 |
| პარიჟის დისკონტი | 6—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98⅝ გაყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 100¾ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც სახელ. სათავ. მამულოთ ბანკის | 95⅛ მყიდ (?) |
| 5% ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 446½ გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 339 გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სათავ.-მამ. ბანკისა | 290 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | 91⅜ |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. სათავ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 92½ გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. სათავ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | 101 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 92¼ წვ. გაყ. |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 9300 წვ. გაყ. |
| აქციები ,, ,, ,, ,, | 465. წვ. |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | — |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 185½ წვ. გაყ. |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

**ბაქოს**; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

**ყარსსა და ერევანს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

**ბორჯომს**: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ**: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ**: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 28 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

**შორაპნისაკენ**: დღის 3 ს. 8 წ.


## განცხადება

**ახალი იაფ-ფასიანი წიგნები.**

ჟურნალ „მოგზაური“ რედაქციაში ისყიდება შემდეგი იაფ-ფასიანი წიგნები:

1. **წერილი სოფლელ მუშას**, ფ. 5 კ.
2. **ყელ-ჭირვება** ანუ დიფტერიტი, ფ. 5 კ.
3. **მეცნიერების დედა-აზრი**, ფ. 5 კ.
4. **ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება**, ფ. 5 კ.
5. **რა არის გონებითი გახსნა-განვითარება**, ფ. 5 კ.
6. **პურის ზოსვანი** ანუ მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით, ფ. 7 კ.
7. **ბავშვების გონიერი მოვლა** ანუ რისგან იხოცებიან ბავშვები უდროვოდ, ფ. 5 კ.
8. **დანაშაულობა—დამნაშავენი** და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ.
9. **მეურნეობა და ახალი სკოლა**, ფ. 5 კ.
10. **შინაური ფრინველების**: ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კ.
11. **რა ა ის დოსტაქრობა** (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ ექიმები დანით, ფ. 5 კ.
12. „**მურია**“, სურათებით, საყმაწვილო მოთხრობა, ფ. 5 კ.
13. **თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა** ქართულის ენის შემწეობით, სურათებით, ფ. 20 კ.
14. **სულით ავათმყოფი მოსწავლენი**, ფ. 5 კ.
15. **ხეხილის გამრავლება და მოვლა**, სურათებით, ფ. 7 კ.
16. **მეფე ლამზა**, საყმაწვილო მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კ.
17. **საუნჯე ავათმყოფისა**, ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობისა, ფ. 15 კ.
18. **საუნჯე მეურნისა**, ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება, გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კ.
19. **მთვრალობა** და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 15 კ.
20. **ცხვრის ყვავილი**, ფ. 5 კ.
21. **ქვეყნიერების მასალა** ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 7 კ.
22. **ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები**, ფ. 5 კ.
23. **გმირი როლანდი**, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კ.
24. **დროა გონს მოვიდეთ!** ანუ ლოთობის წინააღმდეგ, ფ. 10 კ.
25. **მეთევზის შვილი**, სურათებით, საყმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.
26. **ხტუნია-ციყვუნია**, სურათებით, საყმაწვილო წიგნი, ფ. 10 კ.
27. **ლინჰნარდი და გერტრუდა**, პედაგოგიური მოთხრობა პესტალოცისა, ფ. 10 კ.
28. **ცივილიზაციის ისტორია ინგლისში**, ბოკლისა, ფ. 40 კ.
29. **შიო—თავადი**, ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კაპ.
30. **ცხენის წურბელა**, მოთხრობა ხალხის ცხოვრებიდამ, ფ. 10 კ.
31. **მაჭმადი და ცხოვრება-მოქმედება**, სურათებით, ფ. 10 კაპ.
32. **როგორ ცხოვრობენ ჩინელები**, ფ. 10 კ.
33. **დარვინიზმი**, პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კ.
34. **სიფრთხილეს თავი არ სტკივა** ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ. 5 კ.
35. **აღზრდა შვილისა**, თხზ. ბეესი, ფ. 15 კ.
36. **ფუის გონიერი მოვლა-გაშენება**, ფასი 10 კაპ.
37. **ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში**, ფ. 10 კ.
38. **საქონლისათვის საკვები ბალახების თესვა-მოყვანა**, სურათებით, ფ. 20 კ.
39. **სარკე გურულთა ცხოვრებისა**, ფ. 5 კ.
40. **ისტორია სწავლა-აღზრდისა**, ფ. 10 კ.
41. **ალბომი „ქართველთა ტომი“**, ასი მეტი სურათით, ფ. 70 კ.
42. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ფ. 5 კ.

ვინც ერთის მანეთისას ანუ მეტისას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს რედაქცია კისრულობს. მანეთზე ნაკლები ხვედრი ფული შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს და ფოსტის ხარჯათაც სამ-სამი კაპეიკი წამატოს თვითოეულ დაბარებულ წიგნზედ.

**ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Могзаури“ Ивану Павловичу Ростомашвили. ტფილისში მცხოვრებთ ადგილობრივ წიგნთსავაჭროებშიაც შეიძლება იყიდონ.

(10—2)

## იძლევა ქირით

თავად-აზნაურთა ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე:

## ოთხი ოთახი

მესამე სართულში, სადაც სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულო იყო

## ერთი მაღაზია

„ივერიის“ რედაქციის კანტორის გვერდზე;

## საწყობები

სხვა-და-სხვა ადგილას, ზემო და ქვემო სართულში.

პირობების შეტყობა შეიძლება თავად-აზნაურთა ქარვასლის გამგე კანტორაში. (4—166—2)

ქუთაისში

ს. მ. ა. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

## ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

| | |
|---|---|
| **სიმღერა** აკაკისა. ფასი | 15 ,, |
| **თამარ მეფის სურათი** აკაკის ლექსით | 6 ,, |
| **პატარა ჩონგური** ლექსი (დედა-ენა) | 5 ,, |
| **თამარ მეფე** მოთხრობა აკაკისა | 5 ,, |
| **ვაჭრული ჭაშა**, ლექსი აკაკისა | 5 ,, |
| **დათუნა გოციძე**, **როსტომ ერისთავი** { ძველებური ამბავი აკაკისა | 5 ,, |
| **აბრამის და იოზის** ლექსი | 3 ,, |
| **ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) | 5 ,, |
| **ორი ძოსატყუილა**, **ბიჭია მენახირე**, **მეფე და სკვინჩა** { ხალხური ზღაპარი. | 10 ,, |

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

„**გამოვიდა და იყიდება ყველგან**

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

## ბარტექ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 іюля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе), д. Груз. Дворянства. დროებით-რედაქტორი ზ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი